

2014 წლის პრიორიტეტები

ა) ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროგრამა

- * მედიის განვითარების ხელშეწყობა და მედიაში ახალგაზრდული პრობლემების გაშუქება;
- * უახლესი მედია ვებ-ტექნოლოგიებისა და სოციალური ქსელების დანერგვა და მათი საშუალებით ახალგაზრდობის გააქტიურება;

ბ) განსაკუთრებული საჭიროების მქონე ჯგუფების ხელშეწყობა

- * შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ინტეგრაცია;
- * მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭრა, კერძოდ: ყოფილ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია; იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერა; (ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაცია და მათი ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

გ) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (ახალგაზრდებში სპორტული აქტივობებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება-პოპულარიზაცია)

დ) სოციალური მეწარმეობა

ე) სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მხარდაჭერის პროგრამა

- * ახალგაზრდებში სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის კუთხით, კრეატიული და ინოვაციური მეთოდების/მიდგომების დამკვიდრება-პოპულარიზაცია;
- * პრაქტიკული ღონისძიებების საშუალებით მდგრადი განვითარების ხელშეწყობა;
- * სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის კუთხით შემდეგი აქტივობების წახალისება: შიდა მიგრაციის შემცირება; გარემოს დაცვა; სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების სოციალური პირობების გაუმჯობესება; ახალგაზრდებში სოფლის მეურნეობის, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დარგის პოპულარიზაცია.

ვ) საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის რეფორმის პოპულარიზაცია ახალგაზრდებში

- * თვითმმართველობის იდეის პოპულარიზაცია ახალგაზრდებში;
- * ახალგაზრდების გააქტიურება და მონიტორინგი ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
- * ადგილობრივი მოსახლეობისთვის რეფორმით დაგეგმილი სიახლეების გაცნობა;
- * თვითმმართველ ქალაქებში ახალგაზრდული ჯგუფების გააქტიურება.

ზ) კულტურულ-საგანმანათლებლო და აკადემიური მხარდაჭერის პროგრამა

- * კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების უზრუნველყოფა;
- * ახალგაზრდა შემოქმედთა გამოვლენა, მხარდაჭერა და წახალისება;
- * აკადემიური და სოციოლოგიური კვლევების მხარდაჭერა.

თ) ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში ახალგაზრდობის ჩართულობის ხელშეწყობა (ზაღალმთიანი და კომპაქტურად დასახლებული რეგიონებიდან წარმოდგენილი პროექტებისათვის უპირატესობის მინიჭებით)

2014 წლის პირველი საგრანტო კონკურსი				
N	ორგანიზაციის სახელწოდება	პროექტის სახელწოდება	მიზანი	თანხა
1	ახალგაზრდები ხელოვნებისთვის	ჩვენც შეგვიძლია	პროექტში მონაწილე 170 შშმ ბავშვისათვის ქართული ცეკვის სწავლება, მათთვის საცეკვაო კოსტუმების შეკერვა, პროექტის ფარგლებში ასევე შექმნილი იქნება აპარატურა ღონისძიებისათვის და ბავშვები მონაწილეობას მიიღებენ ისეთ კულტურულ ღონისძიებებში, როგორცაა „ფესტივალ არტ-გენსა“ და სტუდენტურ დღეებში.	10155 ლარი
2	სტუდენტური საერთაშორისო ინიციატივა	ახალგაზრდა ფერმერები მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მდგრადი აგრარული და გარემოსდაცვითი განვითარებისათვის	პროექტი ხელს შეუწყობს აგრარულ სექტორში მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ადგილობრივი ახალგაზრდა ფერმერების ჩართულობის დონის ზრდასა და სოფლის მეურნეობის პოპულარიზაციას ახალგაზრდებში.	17251 ლარი
3	ახალგაზრდების ინტეგრაციის, განათლების და კულტურული განვითარების ასოციაცია	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების	პროექტის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე	17412 ლარი

		საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა	ახალგაზრდების მიმართ საზოგადოებაში არსებული დისკრიმინაციული დამოკიდებულების და სტიგმის შემცირება, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა; საზოგადოების ინფორმირება, ცნობიერების ამაღლება და აღნიშნული პრობლემის მოგვარების კუთხით ჩართულობის გაზრდა.	
4	ახალგაზრდა რეფორმატორები სოფლის განვითარებისათვის	კოჯორ ასურეთის რეკრეაციული და ეკოლოგიური შესაძლებლობების გაძლიერება	პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს კოჯორ-ასურეთის ზონის ეკოლოგიური და რეკრეაციული შესაძლებლობების ჯეროვნად გაძლიერებას, რათა აღნიშნულმა ღირებული წვლილი შეიტანოს შემდგომში ადგილობრივი ტერიტორიის სოციალური, გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და ბალნეოლოგიური სფეროების განვითარების პროცესში.	17816 ლარი
5	საქართველოს უსინათლო ქალთა და ბავშვთა ასოციაცია	მე ვხედავ მზეს	პროექტის მიზანია უსინათლო და სუსტადმხედველი ახალგაზრდობისათვის	15255 ლარი

			<p>ადაპტირებული გარემოს შექმნა, სადაც ისინი თავს იგრძნობენ (და გახდებიან კიდევ) დამოუკიდებელ ადამიანებად, აიმაღლებენ სულიერ და ინტელექტუალურ დონეს, გახდებიან სამოქალაქო საზოგადოების ღირსეული წევრები.</p>	
6	ყაზბეგის ახალგაზრდული ცენტრი	ბოლდერინგის განვითარება ყაზბეგის რაიონში	<p>ყაზბეგის რაიონში ბუნებრივი ბოლდერინგის განვითარება და მისი დამკვიდრება. ასევე მისი, როგორც ექსტრემალური ტურისტული მარშრუტის შექმნა და პოპულარიზაცია, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ასევე, ახალგაზრდების დასაქმება ამ სფეროში.</p>	7725 ლარი
7	ახალგაზრდა ექსპერტთა კლუბი	ახალგაზრდული პრეს კლუბი	<p>პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდებისათვის მედია გარემოს გაუმჯობესებას. პროექტი ასევე მოიცავს ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, საინიციატივო ჯგუფებს შორის სოციალური დიალოგის ხელშეწყობას, მათი აზრის</p>	19920 ლარი

			გამოხატვისათვის შესაბამისი სივრცის შექმნას.	
8	ახალგაზრდა მოქალაქე	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები მოქმედებაში	პროექტი გულისხმობს შშმ პირთათვის ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ისინი თავს იგრძნობენ საზოგადოების ნაწილად. ამ მხრივ პროექტი ფარგლებში იგეგმება მათი დასაქმება და შესაძლებლობების რეალიზება.	5285 ლარი
9	რეგიონალური განვითარების ახალგაზრდული ფონდი	ლენტეხის ხეივანი	ლენტეხის ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორება, ლენტეხში ხეივნის გაშენება 2800 მეტრზე, გარემოს დაცვითი სამუშაოების ჩატარება და ახალგაზრდების არაფორმალური განათლების მიღების ხელშეწყობა და ეკოლოგიური უნარ-ჩვევების ამაღლება;	14107 ლარი
10	ეკო-ფანი	ერთად გაუმჯობესებისკენ	პროექტი ითვალისწინებს 5 დღიანი სატრენინგო პროგრამის რეალიზებას საქართველოს რეგიონებიდან შერჩეული 26 ახალგაზრდა ლიდერისათვის, რათა გააფართოოს მათი ცოდნა და უნარები ეკოლოგიური უსაფრთხოების	17820 ლარი

			საკითხებთან მიმართებაში, ასევე უზრუნველყოს მათი ჩართულობა გარემოს დაცვითი ღონისძიებების დაგეგმვასა და რეალიზებაში	
11	ჰერეთის კულტურულ საგანმათლებლო საზოგადოება ქურმუხელი	ესეების კონკურსი	პროექტი მოიცავს აზერბაიჯანში მოქმედ ქართულ სკოლებში ესეების კონკურსის ჩატარებას და გამარჯვებულთათვის ექსკურსიის მოწყობას საქართველოში. პროექტის განხორციელების შედეგად მოხდება ბავშვების წახალისება.	5773 ლარი
12	სრულიად საქართველოს ახალგაზრდული კავშირი (ასოციაცია) მომავლის ცხინვალი	ახალგაზრდული სამშვიდობო ექსპრესი	ქართველი და ოსი ახალგაზრდების დაახლოება და თანამშრომლობის პირობების შექმნა სასწავლო-შემეცნებითი ტურის მოწყობის გზით ევროპის 5 ქალაქში, სადაც ისინი გაიზიარებენ ევროპელი ახალგაზრდების საუნივერსიტეტო ცხოვრების გამოცდილებას და დასახვენ თანამშრომლობის პერსპექტივებს.	5945 ლარი
13	ახალგაზრდა ადვოკატები	ერთად ევროპული არჩევანისათვის	პროექტის მიზანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის	9005 ლარი

			წარმომადგენელი ახალგაზრდების ინფორმირება, ჩართულობა და ნდობის გაზრდა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში. მნიშვნელოვანია, საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესში ახალგაზრდებს ჰქონდეთ მკაფიო სამოქალაქო ხედვა და საჭირო პასუხისმგებლობა.	
14	პროგრესული კომუნიკაციების ასოციაცია	სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა	პროექტის ფარგლებში შეიქმნება საინფორმაციო პლატფორმა, რომელიც გაამუქებს ახალგაზრდულ საკითხებს და ამავდროულად, ობიექტური მუშაობით ასახავს ქვეყანაში სხვა სფეროში მიმდინარე მოვლენებს.	18980 ლარი
15	იმერის ვარსკვლავი	მეტი მოაზროვნე ახალგაზრდა საზოგადოებაში	პროექტის მიზანია რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა დაახლოვდეს და დაინტერესდეს ჯადრაკით, ხელი შევუწყოს სპორტის ამ სახეობის ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდების გამოვლენას, მათ მხარდაჭერასა და წახალისებას.	11775 ლარი

16	გლობალური თანადგომა	სნოს ხეობის გამოყენებითი ხელოვნების ახალგაზრდული ცენტრი	პროექტის ფარგლებში შეიქმნება სახელოსნო, სადაც ადგილობრივი ახალგაზრდები შეისწავლიან - ხეზე კვეთას, ქვის მხატვრულ დამუშავებას, ხაზვას. ახალგაზრდებს მიეცემა საშუალება დაეუფლონ სპეციალობებს, შექმნან გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები და საკუთარი წვლილი შეიტანონ რეგიონის კულტურულ განვითარებაში.	16035 ლარი
17	სამოქალაქო საზოგადოება მდგრადი განვითარებისათვის	სამტრედიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების გააქტიურება თვითმართველობის პროცესებთან მიმართებაში	პროექტი ეხება ისეთ საკითხებს როგორცაა: თვითმმართველობის იდეის გავრცელება და პოპულარიზაცია ახალგაზრდებში, ადგილობრივი პრობლემებისა და პრიორიტეტების თვითმმართველობის პროგრამებსა, თუ ბიუჯეტში ასახვისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და სხვ.	19568 ლარი
18	ახალგაზრდული ინიციატივებისა და სამოქალაქო განვითარების აკადემიური ცენტრი	ახალგაზრდა ლიდერები	პროექტის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა ახალგაზრდების ჩართულობის გზით,	14008,75 ლარი

			<p>ახალგაზრდების კვალიფიკაციის ამაღლება და სათანადო უნარ-ჩვევების განვითარება, ახალგაზრდების პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა, ახალგაზრდული რესურსის კონსოლიდაცია სხვადასხვა სფეროებში საზოგადოებისათვის და ქვეყნისთვის სასარგებლო სოციალური ცვლილებების ინიცირებისათვის.</p>	
19	ახალგაზრდა სოციალისტები	გახდი მშვიდობის მშენებელი	<p>პროექტი შედგება 2 ეტაპისგან: 1. მოსამაზადებელი ეტაპი აქტიური/ტრენინგების ეტაპი 2. რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას მშვიდობის მშენებლობის, მოლაპარაკების მეთოდებისა და პროექტის მენეჯმენტის საკითხებზე.</p>	7650 ლარი
20	საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია	სტაბილური კონსტიტუცია- ახალგაზრდული არჩევანი	<p>პროექტის ფარგლებში რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდები ჩაერთვებიან ქვეყანაში მიმდინარე კონსტიტუციურ რეფორმაში. მოხდება მათი ცნობიერების ამაღლება</p>	15798 ლარი

			კონსტიტუციონალიზმის არსთან დაკავშირებით. აგრეთვე, კონსტიტუციური სამართლით დაინტერესებული ახალგაზრდებით დაკომპლექტდება ინტერრეგიონალური საინიციატივო ჯგუფი.	
21	ახალგაზრდული გაერთიანება მარტვილი	სპორტული მარტვილი 2014	პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს, მარტვილის მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.	14584 ლარი
22	ახალგაზრდული ქსელი-ქალები მსოფლიოს კეთილდღეობისთვის „WWW“	დემოკრატიის ახალგაზრდა ელჩები	სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებიდან შერჩეული ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა რათა მათი მეშვეობით ამაღლდეს რეგიონში ახალგაზრდების ცნობიერების დონე, ქვეყანაში დემოკრატიის წინაშე არსებული გამოწვევებისა და გამჭირვალე მმართველობის საკითხებთან დაკავშირებით.	16780 ლარი
23	Oikos Tbilisi(ოიკოს თბილისი)	საერთაშორისო ეკონომიკური საზაფხულო სკოლა: სოციალური	პროექტი ითვალისწინებს უახლესი ევროპული აკადემიური მიღწევების და	20175 ლარი

		მეწარმეობა განვითარებად ქვეყნებში	პოზიტიური გამოცდილების გაზიარებით, განვითარებადი ქვეყნების თავისებურებების გათვალისწინებით, ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლებას, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ტრანსფორმაციას მდგრად ინოვაციურ იდეებზე დაფუძნებულ სოციალურ მეწარმეობაზე.	
24	ახალგაზრდული ასოციაცია დრონი	“ახალგაზრდები ბარიერების გარეშე - ნაწილი II”	წინამდებარე პროექტი წარმოადგენს 2013 წელს დაწყებული საქმის ერთგვარ გაგრძელებას და მიზნად ისახავს სხვადასხვა სოციალური აქტივობების, ტრენინგებისა და ვორქშოპების ჩატარებას ახალგაზრდებისათვის 3 დეცემბრის ჩასახლებიდან: სკრა, შაუმიანი და თბილისის ზღვა.	15250 ლარი
25	სტუდლაიფი	საზაფხულო ახალგაზრდული ბანაკი ჯომარდია	პროექტი ითვალისწინებს ახალგაზრდა თაობისთვის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებასა და ტურისტული საჯომარდო ინფრასტრუქტურის განვითარებას, ასევე, ახალგაზრდებისთვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნა	18280 ლარი

26	დევენილთა ახალგაზრდული მოძრაობა	ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და მხარდაჭერა დევნილ ახალგაზრდებში	პროექტის მიზანია დევნილ ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და ხელშეწყობა, სპორტულ ღონისძიებათა დაგეგმვა ჩატარება და მხარდაჭერა	7410 ლარი
27	ჯანსაღი თაობა +	მესხეთის საერთაშორისო ახალგაზრდული საფეხბურთო ფესტივალი 2014	ახალგაზრდებში სპორტული აქტივობებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება-პოპულარიზაცია, ფეხბურთის განვითარება რეგიონში, თანამედროვე ევროპული ტიპის ახალგაზრდული საფეხბურთო ფესტივალის ჩამოყალიბება - დამკვიდრება.	20170 ლარი
28	ტოლერანტობის სამყარო	United-ის საერთაშორისო კონფერენცია საქართველოში	პროექტი მოიცავს UNITED-ის საერთაშორისო კონფერენციის საქართველოში ორგანიზებას. UNITED წარმოადგენს ევროპის ყველაზე დიდ პლატფორმას, რომლიც აერთიანებს 46 ქვეყნის 560 ორგანიზაციას. კონფერენციის მიზანია დემოკრატიული პროცესებისა და უმცირესობების უფლებების ადვოკატირება.	20000 ლარი

29	საქართველოს ახალგაზრდული ცენტრი თანამშრომლობისა და ტოლერანტობისთვის	ინფორმირებულის მოქალაქე-ფართო ჩართულობა-უკეთესი შედეგი	ხელი შეუწყოს სამეგრელოსა და გურიის რეგიონებში ადგილობრივი ახალგაზრდების, სათემო ლიდერების, სამოქალაქო საზოგადოებრივი სექტორისა და მედიის წარმომადგენლების, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლებას ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ძირითადი პრინციპების დანერგვას	14350 ლარი
30	ხელოვნების ცენტრი	მე - საქართველოს მოქალაქე	საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები შემოქმედი/სპორტსმენი წარმატებული მოზარდების გამოვლენა და მათი წახალისება მათზე დოკუმენტური ფილმების, ასევე მიზნობრივი აუდიტორიისთვის სოციალური შინაარსის ვიდეორგოლების მომზადებისა და ტელეკომპანიების ეთერში გადაცემის გზით. მიზნობრივი აუდიტორიისთვის მისაბაძი მაგალითების ჩვენება.	16450 ლარი
31	ზესტაფონის განვითარებისა და აღორძინების ფონდი	ზესტაფონის სპორტული	პროექტი „ზესტაფონის	6153 ლარი

		ფესტივალი	სპორტული ფესტივალი,, გულისხმობს მოზარდებში სპორტული ცხოვრების ხელშეწყობასა და წახალისებას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოხდება საფეხბურთო და საკალათბურთო ტურნირის ორგანიზება, რომელსაც წინ წარუძღვება არაფორმალური განათლების პროგრამა.	
32	სამოქალაქო განვითარების ახალგაზრდული ცენტრი	„ძლიერი სტუდენტები უკეთესი სტუდენტური თვითმმართველობისთვის“	პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია სტუდენტების ცოდნის დონის ამაღლება სტუდენტური თვითმმართველობის უფლება-მოვალეობებისა და თვითმმართველობის პროცესში რიგითი სტუდენტების აქტიური მონაწილეობის გზების შესახებ.	8595 ლარი
33	საქართველოს ახალგაზრდული მოძრაობა ადამიანის უფლებებისათვის	„საქართველოს ჩრდილოატლანტიკური სწრაფვის იდეისა და დემოკრატიული ღირებულებების პოპულარიზაცია სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ახალგაზრდებს შორის“	ამაღლოს ახალქალაქის, ახალციხის, ნინოწმინდის, ადიგენის, ასპინძისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები 30 ახალგაზრდა ლიდერისა და განსაკუთრებული შესაძლებლობების მქონე პირთა (განმანათლებლები)	14685 ლარი

			<p>ცონობიერების დონე ნატოს საქმიანობის სამოქალაქო ასპექტების, ნატო-ს მისიის, ამოცანების, საქართველო-ნატოს ურთიერთობების, პერსპექტივების, ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის სოციალური, ეკონომიკური, უფლებდაცვითი და უსაფრთხოების სარგებელის თაობაზე;</p>	
34	აიკ "სტუ სტუდენტური კოალიცია"	სტუ-ს სტუდენტთა საინფორმაციო ცენტრი	<p>პროექტი მიზნად ისახავს, სტუ-ს სტუდენტების შესამღებლობების რეალიზაციას (განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებისა და რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტების უნივერსიტეტის ცხოვრებაში ჩაბმასა და მათ გააქტიურებას სხვადასხვა ღონისძიებებში.)</p>	6260 ლარი